სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N235

ქ. ბათუმი 17 ივლისი 2018 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ, ფ.პ. ერეკლე ჩიკვაიძე (შემდგომში „შემსრულებელი“), („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 63500000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას 2018 წლის 18 ივლისს (1 დღე) აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებს, რუსთავი 2-ის ჟურნალისტს, ოპერატორსა და მძღოლს (სულ 3 პიროვნება) გაუწიოს გიდის მომსახურება შემდეგი მარშრუტით: ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზესოფელი, ქილისას ხეობა, გულების ციხე, სოფელი ვაიო - გორგილაძის მარანი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 187.50 (ასოთხმოცდაშვიდი ლარი 50 თეთრი) ლარს, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი 20% - 37.50 (ოცდაჩვიდმეტი ლარი 50 თეთრი) ლარი. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2.დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია - ლეილა გოგუაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

5. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**ფიზიკური პირი - ერეკლე ჩიკვაიძე**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი: ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. №6. ბ.18.
	საიდენტიფიკაციო კოდი: 61008016969
	ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ანგარიში N GE71TB7475045061100008
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	
დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	**ფიზიკური პირი**
_____/სულხან ღლონტი/ ბ.ა.	_____/ერეკლე ჩიკვაიძე/ ბ.ა.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების აჭარის ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გიდის მომსახურების შესყიდვის მიზნით ერეკლე ჩიკვაიძესთან 2018 წლის 17 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N235 ხელშეკრულებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
სულხან ღლონტი

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის სამსახურის
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
ლეილა გოგუაძე

17 ივლისი 2018 წელი